17.08.2021

**საქართველოს გარემოს დაცვისა და**

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს**

როგორც მოგეხსენებათ, შ.პ.ს. „კერამიკა ელ ტორენტე+" გეგმავს, კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეტეხის მიმდებარე ტერიტორიაზე აგურის საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ჩვენმა კომპანიამ ამა წლის 14 ივლისს წარმოგიდგინეთ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. აღნიშნულ გზშ-სთან დაკავშირებით, თქვენი სამინისტროს N 8601/01 წერილის თანახმად (13.08.2021), გზშ-ს ანგარიშში არსებული ხარვეზების გამო, შეწყვიტეთ ადმინისტრაციული საქმისწარმოება.

გაცნობებთ, რომ ჩვენ მოვამზადეთ განახლებული გზშ ანგარიში (სამინისტროს მიერ მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით), რომელსაც წარმოგიდგენთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

გთხოვთ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაიწყოთ ადმინისტრაციული საქმისწარმოება.

წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ბეჭდური ვერსია (1 ეგზემპლარი);
2. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი - ბეჭდური ვერსია (2 ეგზემპლარი);
3. წყალსატევში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - ბეჭდური ვერსია (2 ეგზემპლარი);
4. არატექნიკური რეზიუმე - ბეჭდური ვერსია (1 ეგზემპლარი);
5. კომპაქტ დისკი (CD) - ზემოთმოყვანილი დოკუმენტების ელ. ვერსია და საპროექტო საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოსაინფორმაციო სისტემის (GIS) კოორდინატები.

შპს „კერამიკა ელ ტორენტე" 405303005 CERAMICA EL TORENTE LTD

**პატივისცემით,**

**შ.პ.ს. „კერამიკა ელ ტორენტე+"-ის დირექტორი:** **/ხოსე ანტონიო ილესკას ლოპესი/**

№ 14647 17 08 2021 2/2/CP